112-ის ღრმოით...

N14,
ოქტომბერი, 2014

საქართველოს შსს-სსომხეთის რესაუბლიკის
დელეგაცია ესტუმრა (გვ.5)

პატრიარქმა 112-ის
თანამშრომლები დალოცა (გვ.4)

112-ის საინფორმაციო ბანერები
საქართველოს რეგიონებში (გვ.7)

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, ნინო მიქაუტაძე, ნატალია გელაშვილი,
სალომე გელუტაშვილი, გვანცა მეშველიანი, დავით ჭანტურია,
შალვა კუხიანიძე, მარიამ ჯმუხაძე

დიზაინი თეა კუპრაძე

პატრიარქმა 112-ის დეპარტამენტის თანამშრომლები დალოცა 83.4

საქართველოს შსს-ს სომხეთის რესპუბლიკის დელეგაცია ესტუმრა 83.5-6

112-ის საინფორმაციო ბანერები საქართველოს რეგიონებში 83.7-8

911-ის მეგობრები 83.9

აპლიკაცია EENA-ს წევრებისათვის 83.10

ჰოლანდიელი სტუდენტის ახალი გამოგონება 83.11

ოპერატორის დღიური 83.12-13

112-ის შექმნის ისტორია 83.14

საინტერესო ფაქტები მეხანძრეებზე 83.15

როგორ გავიუმჯობესოთ ცხოვრება 83.16-17

ფოტოკონკურსი 83.18-19

პატრიარქმა
შსს-ს 112-ის დეპარტამენტის
თანამშრომლები დალოცა

2014 წლის, 12 ოქტომბერს, სამების საკათედრო ტაძარში გამართულ საკვირაო წირ-ვაზე, ლოცვისა და ქადაგების შემდეგ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პა-ტრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საქართველოს შინაგან საქ-მეთა სამინისტროს, 112-ის დეპარტამენტის თანამშრომლები დალოცა.

საკათედრო ტაძარში გამართულ საკვირაო წირვა-ლოცვას 112-ის დეპარტამენტის დირექტორი, გიორგი ბიჭაშვილი და დეპარტამენტის თანამშრომლები, ოჯახის წევ-რებთან ერთად დაესწრნენ.

საქართველოს შსს-ს სომხეთის რესპუბლიკის დელეგაცია ესტუმრა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, 2014 წლის, 22 ოქტომბერს, სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის დელეგაციას უმასპინძლა. ორი ქვეყნის საზღვრისპირა რეგიონების სამხარეო პოლიციის უფროსების შეხვედრის ფორმატი წელს გაფართოვდა. სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსს, გაგიკ ავეტისიანს და შტაბის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსის მოადგილეს, ალექსანდრე არაბიანს, საქართველოს შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი, ივანე პაპიაშვილი და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, შალვა კვინიხიძე, მასპინძლობდნენ.

შსს-ს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსმა, ლევან კვიციანმა და სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსმა, თეიმურაზ კალანდაძემ, სომეხ კოლეგებთან - სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის ტავუშის, შირაკის და ლორის მაზრების პოლიციის სამმართველოების უფროსებთან, არშავირ გევორგიანთან, ვარდან ნადარიანთან და არტაკ კარაპეტიანთან საზღვრისპირა რეგიონებში არსებულ პრობლემებზე, მათი მოგვარების გზებსა და სამართალდამცავ სფეროში ურთიერთობების გაღრმავებაზე ისაუბრეს. შეხვედრაზე მხარეებმა ასევე განიხილეს ტრანსასაზღვრო ორგანიზებული დანაშაულის, ნარკოდანაშაულის, ტრეფიკინგის, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მექანიზმების შემუშავების, სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების და ძებნის მიმართულებით ორმხრივი თანამშრომლობის გააქტიურების საკითხები.

სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციამ სსიპ 112 დაათვალიერა. სტუმრები გაეცნენ გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის მუშაობის სპეციფიკას და ცენტრის კოორდინაციის მექანიზმს სხვადასხვა უწყებებთან. დელეგაციის წევრებს ასევე უმასპინძლა შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველომ, სადაც მათ უწყებაში წარმატებით განხორციელებული რეფორმები და დაგეგმილი პროექტები გააცნეს.

112-ის საინფორმაციო ბანერები საქართველოს რეგიონებში

112-მა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, საინფორმაციო ბანერები განათავსა. აღნიშნული ბანერების განთავსების მიზანია, მოსახლეობას მარტივად მიეწოდოს ინფორმაცია გადაუდებელ სიტუაციებში მოქმედი ნომრის - 112-ის შესახებ. პროექტის ფარგლებში საინფორმაციო ბანერები რაჭაში, იმერეთში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და ქვემო ქართლში განთავსდა.

112-მა საინფორმაციო ბანერების განთავსება რამდენიმე ეტაპად განახორციელა. პროექტის პირველ ეტაპზე, საინფორმაციო ბანერები ბაკურიანსა და გუდაურში განთავსდა. ხოლო, მეორე ეტაპზე, ბანერები ბათუმში, ქობულეთში, სარფში, გონიოში, შეკვეთილში, ურეკსა და მესტიაში დაიდგა.

112-ის მიერ საინფორმაციო ბანერების განთავსება მნიშვნელოვანია, რათა მოსახლეობამ მიიღოს ინფორმაცია ქვეყანაში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის შესახებ და იცოდნენ, სად დარეკონ, როდესაც საჭიროა საპატრულო, სახანძრო-სამაშველო, თუ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება.

911-ის მეგობრები

ნაციონალური საგანგები ნომრის ასოციაციამ (NENA) წამოიწყო ახალი ინიციატივა, რომელსაც „911-ის მეგობრები“ ეწოდება.

ეს საქველმოქმედო პროექტია, რომლის მიხედვითაც ყველა მსურველს შეეძლება გაიღოს თანხა, რომელიც მოხმარდება: 911-ის სტრუქტურაში ყოფილ სამხედრო მოსამსახურეების, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების მოზიდვას და მათთვის, სასწავლო პროგრამების შემუშავებას, სტიპენდიების დანიშვნას, 911-ის არსებული პერსონალისთვის კარიერული ზრდის შესაძლებლობის შექმნას, საჯარო ცნობადობასა და სასწავლო კამპანიებს.

მიმდინარე წლის განმავლობაში, „911-ის მეგობრებმა“, 1600 დოლარის ოდენობის სტიპენდია, ხუთი წარჩინებული მოსწავლისათვის, გასცეს. ისინი დაესწრებიან NENA-ს ეგიდით გამართულ კონფერენციებსა და „ვორქშოპებს“. მიმდინარე წლის, ივნისის თვეში, „911-ის მეგობრები“, სპონსორები იყვნენ საქველმოქმედო მარათონის, „ირბინე 911-ისთვის“, რომელიც ქ. ნეშვილში, (ტენესის შტატი) ჩატარდა. შემოსული თანხები მოხმარდება 911-ის სასწავლო პროგრამებს.

წყარო: http://friendsof911.org/

european emergency number association

აპლიკაცია EENA-ს წევრებისათვის

EENA-მ ახალი აპლიკაცია დანერგა EENA-ს წევრებისათვის. 1000-ზე მეტ წევრს 70 ქვეყნიდან, რომლებშიც შედის საგანგებო სამსახურები, საჯარო მოხელეები, მკვლევარები და დარგის სხვა წარმომადგენლები, შეეძლებათ ერთმანეთთან გამარტივებული კომუნიკაცია.

აპლიკაცია EENA-ს წევრებისათვის წარმოადგენს ონლაინ პლატფორმას, რომლის საშუალებითაც იქმნება სპეციალური ქსელი პირდაპირი კომუნიკაციისათვის. ქსელის ყოველ წევრს შეუძლია განათავსოს საკუთარი პროფილი, ხოლო კორპორატიულ წევრებს შეუძლიათ წარმოადგინონ ვირტუალური სტენდები თავიანთი პროდუქციისა და მომსახურების შესახებ. პლატფორმა ხელმისაწვდომია პერსონალური კომპიუტერებიდან და ახლო მომავალში ხელმისაწვდომი იქნება მობილური მოწყობილობებიდანაც (iOS, Android, etc).



წყარო: www.eena.org

ჰოლანდიელი სტუდენტის ახალი გამოგონება

ჰოლანდიელმა სტუდენტმა, ალეკ მომონტმა, „სასწრაფო დახმარების საფრენი აპარატის“ პროტოტიპი შექმნა, რომელიც აღჭურვილია დეფიბრილატორით და განკუთვნილია გულის უკმარისობის მქონე პაციენტების გადასარჩენად.
ვერტმფრენს შეუძლია 100 კმ/სთ სიჩქარე განავითაროს და დროული დახმარება გაუწიოს პაციენტს. ვერტმფრენი სასწრაფო დახმარების მანქანის ფერებშია შეღებილი. აღჭურვილია ექვსი პროპელერით და შეუძლია ოთხი კგ. ტვირთის, ამ შემთხვევაში, დეფიბრილატორის გადატანა, რომელიც ადამიანის გადარჩენის შანსს 8-დან 80 პროცენტამდე ზრდის. საფრენი აპარატი აფიქსირებს სასწრაფო დახმარების სამსახურში შესულ ზარს და გადის შემთხვევის ადგილას. აპარატი, ვიდეოკამერის წყალობით გადასცემს ინფორმაციას შემთხვევის ადგილიდან, ოპერატორს შეუძლია მისცეს რჩევები შემთხვევის ადგილზე მყოფ ადამიანს, რომელსაც სურს დაეხმაროს დაზარალებულს.

ყოველწლიურად, ევროპაში დაახლოებით 800 000 ადამიანს უჩერდება გული. გადარჩენილთა რაოდენობა მხოლოდ 8 პროცენტია. მაღალი სიკვდილიანობის მთავარი მიზეზი დროული დახმარების დაგვიანებაა. სასწრაფო დახმარების მანქანით პაციენტამდე მიღწევას საშუალოდ 10 წუთი სჭირდება, ხოლო თავის ტვინის ქსოვილები, ჟანგბადის გარეშე 4-6 წუთში იწყებენ ატროფიას.

სასწრაფო დახმარების საფრენი აპარატის პროტოტიპმა ამსტერდამის სამაშველო სამსახურის ყურადღება მიიპყრო. თავის მხრივ, ავტორს სურს, რომ უპილოტო თვითმფრინავი გახდეს სრულყოფილი მფრინავი სამედიცინო ინსტრუმენტი“, რომელიც მიაწოდებს დაშავებულებს ჟანგბადის ნიღბებს და ინსულინის ინექციას.

სტუდენტი იმედოვნებს, რომ ნიდერლანდების ტერიტორიაზე შეიქმნება სასწრაფო დახმარების საფრენი აპარატების ქსელი.

ოჯახური ძალადობა

სუზი ბრენტი, ლონდონის სასწრაფო დახმარების ცენტრის დისპეტჩერი და ავტორი წიგნისა „NEE NAW: Real Life Dispatches From Ambulance Control" შემდეგ თავში ოჯახური ძალადობის ერთ-ერთ ინციდენტზე გვიყვება.

სამსახურში ყოველდღიურად ვსწავლობ იმ ხერხებს, თუ როგორ მივიღო ადამიანებისგან საჭირო ინფორმაცია, ეს ერთ-ერთი მიზეზია, რატომაც მიყვარს ჩემი სამსახური.

10 დეკემბერი, 2005

დღეს მამაკაცმა დარეკა, მის შეყვარებულს თავის ტრამვა ჰქონდა მიღებული.

ერთი წესია გადაუდებელ სამედიცინო დახმარებაში, როდესაც ზარის ინიციატორი გეუბნება რა ხდება, მაგრამ არ ამბობს როგორ მოხდა, ათიდან ცხრა შემთხვევაში საქმე ცუდ და დაფარულ ფაქტთან გვაქვს.

მე ვკითხე მას, თუ რა მოხდა. ის ჯერ გაჩუმდა, მე კი პარალელურად დაზარალებულის ტირილი მესმოდა.

- ჩვენ ცოტა ვიკამათეთ, მე მას ხელი ვკარი, ის გაითიშა და თავი მაგიდაზე დაარტყა.

თქვენ, ხომ არ აპირებთ პოლიციის გამოგზავნას?

მე ბევრი რამ ვუთხარი, რომ კონკრეტულად ამ კითხვაზე არ მეპასუხა. - მე არ ვარ პოლიციელი, ჩემი მოვალეობაა, თქვენს შეყვარებულს დახმარება დროულად აღმოვუჩინოთ, გამოვაგზავნო სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა, რათა მის სიცოცხლეს საფრთხე არ შეექმნას.

სიმართლე ვუთხარი, მაგრამ როცა პარალელურად დისპეტჩერს გაეგზავნება ინფორმაცია, სადაც ეწერება „30 წლის ქალი, თავის ტრამვა, ძალადობის მსხვერპლი“ ის აუცილებლად გააგზავნის პოლიციას. ვამშვიდებდი ზარის ინიციატორს, რომ კიდევ სხვა ტრამვაც არ მიეღო დაზარალებულს, სანამ ადგილზე პოლიცია მივიდოდა. შემ-

დეგ დავემშვიდობე და ვუთხარი, რომ შემდეგში იმედია მსგავსი ფაქტი აღარ მოხდებოდა და მისი შეყვარებული აღარ მიიღებდა დაზიანებებს.

ნინო პატარქალიშვილი - 112-ის ოპერატორი

საქართველოს 112-ში, იშვიათად ხდება, როცა მოძალადე რეკავს.

ზოგადად, როდესაც ოჯახური ძალადობის შესახებ შემოდის ზარი, როგორც წესი ეს ზარი ემოციური და პანიკურია. ჩვენ, პირველ რიგში ვამშვიდებთ და ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ სწრაფად გვითხრას მისამართი, რათა დროულად დავეხმაროთ.

როდესაც ზარის ინიციატორი არ ამხელს, რა მოხდა, როგორ მოხდა დაზიანება, ოპერატორი ხვდება, რომ ზარის ინიციატორი ინფორმაციას მალავს და ცდილობს მას არასწორად მიაწოდოს.

ასევე ხშირია, როდესაც ბავშვები ხდებიან ძალადობის მომსწრე და ისინი რეკავენ 112-ში.

ასეთ დროს, მთავარია შევინარჩუნოთ სიმშვიდე და ოპერატორს დავეხმაროთ დახმარების სწრაფად მიღებაში.



112-ის შექმნის ისტორია

112 საერთო ევროპული SOS ნომერია, რომელიც ევროკავშირის 28 ქვეყანაში ფუნქციონირებს, იგი ასევე ფუნქციონირებს ევროკავშირის არა წევრ რამდენიმე ქვეყანაშიც.

112 საერთო ევროპულ ნომრად ევროკავშირის გადაწყვეტილებით 1991 წლის, 29 ივლისს, გამოცხადდა, თუმცა მისი შექმნის რეკომენდაციები ევროპის საფოსტო და ტელეკომუნიკაციების ადმინისტრაციამ ჯერ კიდევ 1972 წელს მისცა ევროპას.

2009 წელს, ევროკავშირის გადაწყვეტილებით, 11 თებერვალი 112-ის დღედ გამოცხადდა.

112 კორდინირებულად მუშაობს სასწრაფო-სამედიცინო, საპატრულო პოლიციასა და სახანძრო-სამაშველო სამსახურებთან, რაც მოქალაქეებს უადვილებს აღნიშნული სამსახურების მარტივად და სწრაფად გამოძახებას. სწორედ ამ მიზნით გადაწყვიტა ევროკავშირმა 112 SOS ნომრად ექცია, თუმცა მიუხედავად ამისა ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაში 112-თან ერთად არის ასევე ალტერნატიული SOS ნომრებიც, რაც 112-ის, როგორც საერთო ევროპული ნომრის დამკვიდრებას აფერხებს. 2014 წლიდან ევროკავშირის ყველა ქვეყანაში 112 იქნება საგანგებო სიტუაციების ერთიანი ნომერი.

2012 წლიდან, საქართველოშიც შეიქმნა 24-საათიანი გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი, რომელიც გადაუდებელი დახმარების შესახებ სატელეფონო შეტყობინებებს იღებს მთელი საქართველოდან ერთიანი სატელეფონო ნომრის 1-1-2 საშუალებით.

საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, ნომერი 1-1-2 საქართველოში, ისევე როგორც ევროპისა და აშშ-ს საგანგებო სიტუაციების ერთიანი ნომრები, შესაბამის სამსახურებთან კოორდინირებული მუშაობით, მისი საქმიანობის სფეროში შემავალი საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევათა შესახებ შეტყობინებების მიღებას, დამუშავებასა და რეაგირებისათვის შესაბამისი სუბიექტებისათვის ინფორმაციის ოპერატიულ მიწოდებას ახდენს.



საინტერესო ფაქტები მეხანძრეებზე

ამერიკის შეერთებული შტატები

1648 წელს, ახალი ამსტერდამის (ქ. ნიუ-იორკის პირველი სახელი 1662-64 წლებში) გუბერნატორმა, ოთხი კაცი სახანძროს მეთაურად დანიშნა. ისინი ვალდებულები იყვნენ შეემოწმებინათ ყველა საკვამური და დამრღვევები დაეჯარიმებინათ. ქალაქის მაცხოვრებლებმა, რვა გამოჩენილი მოხალისე მოქალაქე, ზარის ყარაულად დანიშნეს. ისინი, დიდი ხის ზარით, ღამით ქალაქში პატრულირებდნენ. თუ ხანძარს შეამჩნევდნენ, იწყებდნენ ზარის რეკვას და შემდეგ აყალიბებდნენ ვედროების ბრიგადას.

1678 წლის, 27 იანვარს, პირველი სახანძრო ძრავების კომპანია შეიქმნა, რომელიც კაპიტანმა, ტომას ატკინსმა დაარსა.

1736 წელს, ბენჟამინ ფრანკლინმა, ფილადელფიაში, გაერთიანებული სახანძრო კომპანია ჩამოაყალიბა.

ჯორჯ ვაშინგტონი, ვირჯინიის შტატის, ქალაქ ალექსანდრიაში მოხალისე მეხანძრე იყო. მან ქალაქს პირველი სახანძრო ძრავი უყიდა.

სამოქალაქო ომამდე, ამერიკაში სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი სახანძრო დეპარტამენტები არ იყო. ამ დრომდე კერძო სახანძრო კომპანიები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვინ პირველი მიასწრებდა ხანძრამდე, რადგან სადაზღვეო კომპანიები შენობის გადარჩენისთვის საფასურს იხდიდნენ. ზოგ ქალაქში დამზღვევები თვითონვე ქირაობდნენ მეხანძრეებს.

პირველი ცნობილი ქალი მეხანძრე, მოლი უილიამსი იყო, რომელმაც 1818 წელს, ქარბუქის და დიდთოვლობის დროს, კაცებთან ერთად შემთხვევის ადგილზე თოკით ტუმბოს მიტანაში მონაწილეობა მიიღო.

2010 წელს, ამერიკაში 70% მეხანძრეების იყო მოხალისე. ზარების მხოლოდ 5% იყო ნამდვილი ხანძარი, ხოლო 68% იყო სამედიცინო ხასიათის და 8% ტყუილი განგაში.

ფსიქოლოგის რჩევები, როგორ გავიუმჯობესოთ ცხოვრება

ფსიქოლოგი, დევიდ კენონი, გვიზიარებს რამდენიმე რჩევას, რომლის გათვალისწინების შემდეგ, თქვენი ცხოვრება აუცილებლად უკეთესობისკენ შეიცვლება.

ყოველ დილით 5 წუთის განმავლობაში იცინეთ

სიცილი ადამიანს ენერგიას მატებს, დადებითი ემოციებით ავსებს და კარგ ხასიათზე აყენებს. გარდა ამისა, კვლევების მიხედვით, სიცილი ორგანიზმისთვის ერთგვარი „სპორტული მწვრთნელის“ როლს ასრულებს.

ყოველ დღე ჩაიწერეთ ახალი აზრი ან იდეა, რომელიც გაგიჩნდებათ

ჩაიწერეთ ყველაფერი, ვინაიდან მათ შორის აუცილებლად იქნება ერთი ისეთი იდეა, რომელსაც თქვენი ცხოვრების შეცვლა შეუძლია.

სიყვარული სასწაულს ახდენს

შეიყვარეთ! შეიყვარეთ თავდავიწყებით. დაე, ამ ძლიერმა გრძნობამ მთლიანად მოგიცვათ. ის უამრავი რამის გაკეთებაში დაგეხმარებათ.

დაივიწყეთ შიში, ის სუსტებისთვისაა

ყველას რაღაცის ეშინია, თუმცა ყველა მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის მიხედვით უმკლავდება ამა თუ იმ შიშს. მოიკრიბეთ გონება და გადაჭერით პრობლემა, დაძლიეთ შიში და ნუ გამოიყენებთ მის დასავიწყებლად ალკოჰოლს, ნარკოტიკს, შოპინგს, ეს თავის მოტყუებაა.

დაიცავით ცხოვრების ჯანსაღი წესი

კონცენტრირება მოახდინეთ თქვენს ჯანმრთელობაზე. უარი თქვით მავნე ჩვევებზე, ცუდ საკვებსა და სიგარეტზე.

ყოველ კვირას ერთი ახალი წიგნი წაიკითხეთ



ბევრს ეს რთულად ეჩვენება, მაგრამ ფსიქოლოგი მათ არწმუნებს, რომ ამაში უტოპიური არაფერია. ერთადერთი რისი გაკეთებაც მოგიწევთ სწრაფად კითხვის ათვისებაა.

შეაგროვეთ ფული

დაიწყეთ ფულის შენახვა დღეს. გადადეთ თქვენი ხელფასის 10% და დააბანდეთ. 5 წლის შემდეგ ნახავთ რამდენი თანხა შეგიგროვდებათ.

დაისვენეთ

თუნდაც კვირაში ერთხელ თავს დასვენების უფლება უნდა მისცეთ. დაივიწყეთ კომპიუტერი ტელევიზორი და სამსახური. დაისვენეთ ნებისმიერი სახის ტექნიკისგან.

დუმილი ოქროა

გაჩუმდით ერთი წუთის განმავლობაში. ამავე დროს დაუფიქრდით, რა ფიქრები მოგდით გონებაში და რასაც 1 წუთიანი დუმილის შემდეგ გრძნობთ, ყველაფერი ჩაიწერეთ. ეს დაგეხმარებათ, საკუთარ თავში გარკვევაში.

წერეთ დღიურები

ზოგჯერ გასული დღის აღწერისას, აუცილებლად შეამჩნევთ იმას, რაც აქამდე არ დაგინახავთ. გარდა ამისა, თქვენ შეძლებთ რაც შეიძლება მეტი მოგონებების შენახვას და საკუთარი გადაწყვეტილებების უკეთ გაანალიზებას.

112-ის კორპორატიული ჟურნალის ფოტოკონკურსში გამარჯვებულები გამოვლინდნენ

112-ის კორპორატიულმა ჟურნალმა - „112-ის დროით“, 2013 წლის სექტემბერში გამოაცხადა ფოტოკონკურსი თემაზე „112 და მომიჯნავე სამსახურები“.

ფოტოკონკურსში აქტიურად იყვნენ ჩართული 112-ის თანამშრომლები. კონკურსის განმავლობაში, რომელიც ერთი წელი გაგრძელდა, ჟურნალში არაერთი საინტერესო ფოტო გამოქვეყნდა.

112-ში სპეციალურად შექმნილი ჟიურის მიერ, სამი საუკეთესო ფოტო შეირჩა და გამარჯვებული სურათების ავტორებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. ჟიურის განსაკუთრებული სიმპათია ეკატერინე დაღუნდარიძის, ლალი აბაშიძისა და ქეთევან სამადაშვილის ფოტოებმა დაიმსახურეს.

112 მადლობას უხდის თითოეული სურათის ავტორს ფოტოკონკურსში მონაწილეობის მიღებისათვის.

ეკატერინე დადუნდარიძე

ფოტო, რომელმაც მე გამარჯვება მომიტანა გადაღებულია ისანი-სამგორის რაიონის, საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის განყოფილების მე-3 რაზმში. ფოტოზე ასახულია მეხანძრე-მაშველების ყოველდღიური ცხოვრების წესი, ფოტო გადაღებულია მათი პრაქტიკული მეცადინეობის დროს.

ლალი აბაშიძე

ჩემი ჰობი ფოტოგრაფიაა, მიყვარს ლამაზი და საინტერესო მომენტების დაფიქსირება. იმდენად ეფექტური იყო გამთენიისას 112-ის შენობა, სურვილი გამიჩნდა ეს სილამაზე დამეფიქსირებინა ფოტოზე და ყველასთვის გამეზიარებინა. მოხარული ვარ, რომ ჩემ მიერ გადაღებულმა ფოტომ ასეთი დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა.

ქეთევან სამადაშვილი

სამსახურიდან თანამშრომლები ექსკურსიაზე ვიყავით, ყაზბეგში. ეს ფოტოც ყაზბეგშია გადაღებული; ჩემი გატაცება ფოტოგრაფიაა, რაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ამიტომ ექსკურსიაზეც, ყველა ნაბიჯზე ფოტოს ვიღებდი და ეს ფოტოც მიმავალი ავტობუსიდან გადავიღე.

შსს სსიპ – 112

ვაშლიჯვრისა და ნუსუბიძის
მიკრორაიონების დამაკავშირებელი
ავტობანი

www.112.ge
112news@112.ge